

603 W 10477

საპარტავლოს სსრ მინისტრთა კაბინეტის და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ
3 იანვარი, ოთხშაბათი, 1990 წ.
№ 1 (10 170) ლ. ფასი 3 კპპ.
გამოქვეყნდა 1934 წლის 13 აპრილიდან



ფიფა-ს პრეზიდენტი ჟოაკ ანტონიო (მარჯვნივ) და გენერალური მდივანი იოზეფ ბლატერ.

IMPRIME
 L'UNION PAR AVION VIA AEREA
 P. R.
 CH. BOSS ZÜRICH
 "საქართველო" (საქართველო)
 LELO
 CHIEF EDITOR
 LENIN STREET 14
 TBILISI
 GEORGIAN
 USSR
 11/1

THE FÉDÉRATION INTERNATIONALE DE FOOTBALL ASSOCIATION
 SEND THEIR SEASON'S GREETINGS
 AND BEST WISHES FOR A HAPPY NEW YEAR

THE PRESIDENT: *Antoniou*
 THE GENERAL SECRETARY: *Blatter*

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია მოგესალმებათ და გისურვებთ წარმატებას, ბედნიერ ახალ წელს და გიძღვნიტ საუკეთესო სურვილებს.
 პრეზიდენტი: ანტონიო
 გენერალური მდივანი: იოზეფ ბლატერი

სრული სუვერენიტეტის გზით

„1991 წლიდან საქართველოს ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს სპორტის სრული სუვერენიტეტი“. ეს სიტყვები რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება-სრულყოფის კონცეფციიდან არის ამოღებული (იხ. „ლელო“, 30 დეკემბერი, 1989 წ.). ჩვენი სპორტის სუვერენიტეტი, ისევე როგორც ცხოვრების ბევრ სფეროში, წინ ედგობა ცენტრის ბიუროკრატიულ-მბრძანებლური ხელმძღვანელობის სტილი და მისი მხრიდან პოზიციების უბრალოდ დაბნობის იმედოვნება არ უნდა ვიყოთ. თითქოს პარადოქსია, მაგრამ ფაქტს ვერსად გავიქცევთ: საყოველთაოდ გამოცხადებულ დეცენტრალიზაციას რესპუბლიკებში უფლებების შეზღუდვა მოჰყვა. თითქოს პირი შეკრებო, სპორტის ცალკეული სახეობების საქავეშირო ფედერაციები ახალი დებულებების პროექტებში არაორაზროვნად მეთითებენ, რომ საქავეშირო ფედერაციის იურისდიქცია ვრცელდება მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ჩვენთვის ეს აზრი ჯერ კიდევ ჰვეყნის ოლიმპიური კომიტეტის წევრებიდანაა ცნობილი, რომლის დაკანონებაც თავის დროზე შეაჩერეს საქართველომ და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა.

ერთი სიტყვით, ცენტრის ახლანდელი პოლიტიკა აშკარად ეწინააღმდეგება მიზანს — მივაღწიოთ სრულ სპორტულ სუვერენიტეტს. ჩვენი აზრით, რესპუბლიკის სპორტულმა საზოგადოებრიობამ, პირველ ყოვლისა, სპორტსახეობა, სწორი გეზი აიღო, როცა წინ აღუდგა სპორტში ნეოცენტრალიზაციას და აშკარად მიუღებელ მოთხოვნებს დაუპირისპირა ცალკეული რესპუბლიკური ფედერაციების სუვერენიტეტი. რას ჯუჯისაზრობს ეს შეთქმა? მოკლედ იგა ასე შეიძლება გამოიხატოს: ნეოცენტრალიზაცია არა მხოლოდ ზემოდან, არამედ ჰვემოთაც. რესპ. ბიუროკრატია სპორტსახეობაში თავისთავად ხომ ცენტრია, ჩვენში სპორტში კეულ სახეობებისთვის თვითმმართველობის უფლებების მინიჭება, ვფიქრობთ, უველაზე რეალური გზაა სრული სპორტული სუვერენიტეტის მოსაპოვებლად. სპორტის ამა თუ იმ სახეობის ხელმძღვანელები, როცა ისინი რესპუბლიკაში თავად არიან დამოუკიდებელნი, უფრო თამამად და თავგამოდებით იბრძობენ სრული სუვერენიტეტისთვის. ჯერ ამგვარი კურსი საბჭოთა კავშირში არავის აუღია. პირველი ნაბიჯები საქართველოში გადაიდგა. უველაზე უწინ ჩვენს მძღონებს მიანიჭა საქართველოს სპორტსახეობაში მართვაში სრული დამოუკიდებლობა, ახლა კი მოქიდავეებისა და ცხენოსნების ავტონომიის საკითხი დგას დღის წესრიგში.

1990 წელი ბევრ სიახლეს გვეპირდება. პირველ ყოვლისა, ქართული სპორტისთვის იგი იქნება სრული დამოუკიდებლობის აქტიური ძიების წელი. რესპუბლიკურმა ფედერაციებმა, თავად უნდა გადადგან პრაქტიკული ნაბიჯები საერთაშორისო ურთიერთობათა განსამტკიცებლად. საბოლოო მიზანი — დამოუკიდებლად გავერთიანდეთ საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში და ამით შექმნათ რეალური საფუძველები საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღიარებისთვის — ახლა, 1990 წელს ჩვენი სპორტული მოძრაობის უმთავრეს საკითხად რჩება. ქართული სპორტი სრული სუვერენიტეტის გზას ადგას. გამარჯვება უფილიყოს ამ გზაზე ჩვენი თანამგზავრი.

საპარტავლოს სსრ მინისტრთა საბჭოში თათბირი პენიპენელოგან საბითხეზუ

სპორტული სუვერენიტეტის უზრუნველსაყოფად 1989 წელს რამდენიმე პრაქტიკული ნაბიჯი გადაიდგა. ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა სეოკი, დაიწყო საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში პირდაპირი გაერთიანების გზების ძიება, საფუძველი ჩაეყარა ახალ კონტაქტებს უცხოეთის სპორტულ ორგანიზაციებთან და ფიქრებთან.

ერთი საყურადღებო ნაბიჯი ამ გზაზე, ჩვენი აზრით, იქნება 1991 წლის თებერვალში თბილისში დაგეგმილი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ღონისძიება — კეტბურთისა და სოფტბოლის* ევროპის კონფედერაციის სხდომა. სპორტის ფუნქციონერთა ასეთი მაღალი რანგის შეკრება ჯერ არ ჩატარებულა საქართველოში. ეს კი დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მასპინძლებს.

29 დეკემბერს საქართველოს მინისტრთა საბჭოში გაიმართა ამ საერთაშორისო ღონისძიებების მოსამზადებელი და ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა, რომელზედაც მოისმინეს ინფორმაცია დღემდე გაწეულ მუშაობაზე. განიხილეს მთელი რიგი საკითხები და დაამტკიცეს პროგრამა.

იმავ დღეს საორგანიზაციო კომიტეტმა იმსჯელა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის სპორტული ცენტრის საქართველოს ნაკრები გუნდის მზადებისა და ამ ღონისძიებაში მისი მონაწილეობის შესახებ. ინფორმაციაში, რომელიც გააკეთა საქართველოს სპორტსახეობის თავმჯდომარის მოადგილემ ჯ. ბაგრატიონმა, ყურადღება გამახვილდა აგრეთვე სპორტული ცენტრების საკითხებზე. რესპუბლიკაში ზამთრის სპორტის სახეობებში მატერიალურ-სპორტული ბაზის განმტკიცების მიზნით სხდომაზე განიხილეს 1990-1991 წლების ღონისძიებათა გეგმა.

სხდომას უძღვებოდა და ორივე საკითხზე შედეგები შეაჯამა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ო. ქვილითაიამ.

*დღემდე სოფტბოლი ჩვენში დაწერგოლი არ არის და ამიტომ ჯერჯერობით არც მისი შესატყვისი ქართული სახელწოდებაა დადგენილი.

საბჭოთა სპორტის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბჭოთა სპორტის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო ღონისძიებები — კეტბურთისა და სოფტბოლის* ევროპის კონფედერაციის სხდომა. სპორტის ფუნქციონერთა ასეთი მაღალი რანგის შეკრება ჯერ არ ჩატარებულა საქართველოში.

საბჭოთა სპორტის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბჭოთა სპორტის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო ღონისძიებები — კეტბურთისა და სოფტბოლის* ევროპის კონფედერაციის სხდომა. სპორტის ფუნქციონერთა ასეთი მაღალი რანგის შეკრება ჯერ არ ჩატარებულა საქართველოში.

ჯერ მხოლოდ 5 ტური

ინგლისის ქალაქ ჰასტინგში მიმდინარე ტრადიციულ საჭადრაკო „ჩელენჯერ-ტურნირში“ 100-ზე მეტ მონაწილეს შორის 6 საბჭოთა კავშირის წარმომადგენელია. იქვე გამოდის თბილისელი საერთაშორისო ოსტატი ლაშა ჩანჭლავა. შეჯიბრება შევიცარიული სისტემით იწყება. გათამაშდება 11 ტური. I, III და V ტურებში ლაშა ყაიმით დაამთავრა შეხვედრები, II და IV ტურებში კი იმარჯვა და საერთაშორისო დიდოსტატ გრიგორი კვიციანიანთან ერთად II-III ადგილებს იყოფს. აღსანიშნავია, რომ აქ I ადგილზე გასული მოკადრეკე გაისად ჰასტინგის მთავარ საშობო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

შობა ჩოჩიუვილისა და ანტონიო ინოკის გამარჯვება


ახალი წლის წინა დღეს მოსკოვში გაიმართა პროფესიული ჰიდაობისა და კრივის ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდნენ ინგლისის, აშშ-ს, იაპონიისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენები. გაიმართა საინტერესო ორთაბრძოლები ჰიდაობის სხვადასხვა სახეობაში, რესლინგსა და კეტჩში. მაყურებლებმა იხილეს ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთა გამოსვლები. სანახაობის ორგანიზატორები იყვნენ: მოსკოვის საქალაქო საბჭო, ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის დირექცია და იაპონური ასო-

ციაცია „ნიუჯაპანი“ ცნობილი მოკიდავის ანტონიო ინოკის მეთაურობით. საბჭოთა სპორტსმენთაგან შეჯიბრებაში წარმატებას მიიღწიეს სალმან ხასიმოვი და ჰაბილ ბიკტაშევი. ამ საინტერესო სპორტულ შოუს აპოთეოზს წარმოადგენდა წყვილთა შეხვედრები, რომლის ფინალში გავიდნენ იაპონელი მასა საიტო — ამერიკელი ბრედ რიეგანის წყვილი, ერთის მხრივ, და შოთა ჩოჩიუვილი-ანტონიო ინოკის დუეტ, მეორეს მხრივ. გამარჯვება ტურნირის ამ მთავარ ორთაბრძოლაში ჩოჩიუვილმა და ინოკიმ მიიპოვეს.



ახალი წელი — თვითად გადაბარდნილი ხეები და ლამიონების მუქზე მოფარფატე თოვლის ფანტელები, ციგებით სრიალი და გუნდობით ატეხილი ყრიაშული... ჩვენი ქალაქის მკვიდრთ კარგანია აღარ უნახავთ ამგვარი ახალი წელი, მაგრამ თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სპორტული სკოლაში (დირექტორი

ნოდარ ნათაძე) ჩატარებული სახალხო ზეიმი მაინც რაღაცით ჰგავდა ძველს, უფრო კი ზღაპრულს. ნამდვილი ნაძვისხის გარშემო დასრიალებდნენ ცბიერი მელაქულები და მშვიერი მგლები, დაუნდობელი მეკობრენი და ჩატიფი ფერიები... რაც მთავარია, მათ შორის იყო ზურგზე საჩუქრებით სა-



ესე ტომარამოციდებული თვითწერა თოვლის ბაბუა. ფეხბენდები ყოფილიყოს თქვენთვის და ჩვენი სამშობლოსთვის ეს ახალი წელი, პატარბო!

სურათზე: სახალხო ზეიმი ხაციფურაო სკოლაში. ჯემალ კასარაძის ფოტორეპორტაჟი.

ითქვა, კეთილება...


სამრეწველო ცენტრის სასოფლო-სამეურნეო დარგის მშენებლობის დასრულება და დასრულებული ნაგებობის დასახლება „ორიონი“.

ათეული წლების მანძილზე სიტყვისა და საქმის დამორჩეობა უნდა აღიარდეს სტერეოტიპი ჩამოვყალიბდა. სწორედ ამიტომ არ გავკვირვებით, როდესაც შარშან რედაქციაში თბილისის მუნიციპალიტეტის სახლბინიდან აღმოჩნდა მობინადრეები გვეწვივნენ — სტალინის გვიწვივნენ და მის ადგილზე გარდაცვლილ ახლებს. ლენინის რაიონის ხელმძღვანელობის ძველის ადგილზე ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა დასრულდა. სახლბინი, სწორედ ეს აუცილებლად მობინადრეებს — გარდაცვლილ ახლებს ტერიტორია აქვს დათმობილი და სტალინისთვის რა-

ლა უნდა დარჩეს. თუმცა რაიონის არქიტექტორებს თვალსაჩინოდ ადგილზე გამოეკრათ სპორტული კომპლექსის გეგმა-მაკეტი. მის მშენებლობას კისრულობდა საწარმოო გაერთიანება „ორიონი“ (გენერალური დირექტორი იური მეიშვილი).

ახლანან კვლავ ვეწვიეთ მუხიანის დასახლებას. კერძო სექტორის, როგორც მოსალოდნელი იყო, კვლავ დამეტოვებინა თავისი უპირატესობა — გარეუბნი და მთავრებული დაგეგვდა. რაც შეეხება საზოგადოებრივ სპორტულ კომპლექსს, მის შესახებ სკოლის მშენებლებს მოვესმინეთ.

საქსპეცმშენის მთავარი სამმართველოს სპეცმშენები კონსტრუქციების სამშენებლო სარემონტო სამმართველოს საქმის მმართველი ზაურ გამცილობიძე: — ცაშენებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსს, რომელიც შედის აუზი (16X6 მ), საკუთმალაო (8X3), კალათბურთის დარბაზი (12X24), ორი ზონა ტრენაჟორებისთვის, საუნა და სხვა სათავსოები. კომპლექსი მომავალი წლის I კვარტალში უნდა დაგვიმთავრებინა. სამწუხაროდ, რუსეთიდან ვერ გამოგვიგზავნეს შეკვეთილი სანტექნიკა, ურომლისოდ ვერ ვიწყებთ აუზის მშენებლობას. ადრე ცემენტის მხრე ვეჭონდა შეფერხებები...



საქეთურზეთმშენის სამშენებლო სამონტაჟო სამმართველოს საქმეთა მმართველი ნუგზარ კაპარავა: — კომბინირებულ სტადიონზე, რომელსაც ვაშენებთ, შეუძლიათ ითამაშონ როგორც ფეხბურთელებს, ისე რაბიტებს. მის ექვანა ხელოვნურსაფარიანი ასმეტრიანი მძლეოსნური ბილიკი, ორი ათას ადგილიანი ტრიბუნა, რომლის ქვეშ მოეწყობა ოთახები მომსახურე პერსონალისთვის, ექიმის კაბინეტი, ტრიბუნის უკანა მხარეს იქნება ჩიგბურთის კორტი კედლით, კალათბურთის მოედანი, აუზი, ბავშვთა სათამაშო მოედნები, სტადიონის მშენებლობა წელს უნდა დაითავსოს, მაგრამ საქართველოში მომხდარი სტიქიური უბედურებების გამო, შეგვიფერხდა სამშენებლო მასალებით მომარაგება. ამჯერად ეს საკითხი მოგვარებულია. ეფექტურად, 1990 წლის პირველ ნახევარში სტადიონის საქსპეცმშენით გადამეცემა.

სპორტული კომპლექსის მშენებლობა დასრულების შემდეგ, რომელიც მუხიანის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა იქნება, მომავალში აქ სარაიონო, საქალაქო და შვიდობა რეაბილიტაციური შეჯიბრებებიც გაიმართოს. იმუშავებს არაერთი სპორტული სექცია. სწორედ ამიტომ გულს დაგვწყვიტა იმან, რომ სტადიონის მხოლოდ ერთი 100-მეტრიანი ბილიკი ექვანა. რის გამოც ვერ ჩატარდება შეჯიბრებები მძლეოსნობის სხვადასხვა სახეობაში, სხვათა შორის, შარშან ამის შესახებ მოსახლეობის ერთმა ნაწილმა საკმაოდ მშვენიერ პირობებში განაცხადა, მაგრამ უკვე მაშინ სარბენი ბილიკის ადგილზე გარეუბნი იყო სანახევროდ აშენებული. ნუგზარ ისრაელიანს, რომ მის თავზე, როგორც ვეფხვს, ღია სპორტული მოედნების მოწყობას აპირებენ.

მოზარდი ელოდება. იმედი გვაქვს, მშენებლები თავის სიტყვას არ გატეხენ. ელოდავთ ახალ წელს კომპლექსის მშენებლობას: ახლო ოქრობირთეს, სანდრო მეჩიიშვილს, ზაურ გამცილობიძეს, ნოდარ სუბიშვილს, ვია შუბითიძეს, ვლად ჩუკოვსკის, ამირან ბიწაძეს, ნუგზარ კაპარავას და სხვებს. ვუსურვოთ, პირი არ გაეტეხონ და, რაც მთავარია, ხარისხიანად დაესრულებინოთ ეს საშვილოწველო საქმე.

ჯემალ მანარაძე.

სურათებზე: საერთო ფიზიკური მომზადების დარბაზის მშენებლები ნოდარ სუბიშვილი, ვია შუბითიძე, ვერვან გოშაძე და ზაურ გამცილობიძე (მარცხნივ); შენდება მუხიანის სპორტული კომპლექსი. ავტორის ფოტოები.



ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

გაზეთ „ლელოს“ მიმდინარე წლის 16 ფურცლის ნომერში გამოქვეყნდა ფილიპ სავაშვილის სტატია. საქმე ეხება ამის წინათ თბილისში ჩატარებულ საერთაშორისო შეჯიბრებას ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ფალანგის სახელზე. როგორც წერილიდან ჩანს, გაზეთი არ არის იმდენად სწორედ, როგორც ჩანს. მაგრამ ჩვენ გული იმის გამო დაგვწყდა, რომ თბილისში მხოლოდ ორი უცხოელი მოჭიდავე ახარებოდა. რედ. და მოითხოვს, რომ ასეთი სახის ტურნირის მართვა დაგვიტოვონ, უფრო მიზანსწორულად ჩატარების მიზნით ქართული ჭიდაობის ფედერაციასთან შეიქმნას სპეციალური მუშაობა მოჭიდავე კომიტეტი. შესანიშნავი ინიციატივა!

შეიძლება ვინმემ გვისაყვიროს, ხომ არსებობს ფედერაცია, რომელიც მოწოდებულია მოცეპული სპორტის სახეობაში ყველაგვარი მრავალმხრივი მუშაობა გააშროს. ეს ასეა, მაგრამ ენუ დაგვიწყვიტება, რომ ჩვენ გვინდა ქართული ჭიდაობა საერთაშორისო სარბილზე გავითაროთ. ამიტომ ამ დიდ საქმეს ეპიზოდური მუშაობით ვერ მოვაბამთ თავს. ფედერაციას სხვა ბევრი საზრუნავიც აქვს. ეს საქმეც, საერთო ქართული საქმე, ერის ღირსების საქმეა.

როდესაც გაზეთში გამოქვეყნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ ასეთი კეთილშობილი ჩანაფიქრი აქვს სპორტულ საზოგადოებრიობას, მე, როგორც ხალხურ სპორტში ჩახედულმა ადამიანმა, იმ წამსვე გამოვეხმურე და რამდენიმე, ჩემის აზრით, საქართველოს წინადადება წამოვაყენე. მაგრამ, სამწუხაროდ, „ლელოში“ წერილი მიმდინარე წლის 9 აპრილის ნომერში დაიბეჭდა. აბა, ხომ მოგეხსენებათ 9 აპრილი. საბოლოო მითითებით რომ წავიკითხე და მისი ანალიზი გაეკეთებინა, ამის თავი ვის ჰქონდა. ამგვარად, ჩემი წერილი მკითხველის ყურადღების მიღმა დარჩა. უნდა ვფიქრობდეთ, რომ იგი თვით შეჯიბრების ორგანიზატორებსაც გამოეჩინათ, ამიტომ იძულებული ვარ იმ წერილის ორიოდ ანაზღაურებო: „შეჯიბრებას რომ „სოლიდური“ ხასიათი მიეცეთ, საქართველოს სათანადო ბეჭდვითი მასალები ქართულ-რუსულ-ინგლისურ და, აუცილებლად, იაპონურ ენებზეც“. იქვე გამოვთქვი

ჩვენთვის

აზრი, რომ საქართველოს მასობრივი ტრიალით ცალკე ბროშურად გამოვიდეს მცირე ფორმის მხატვრული ნარკვევი ქართულ ჭიდაობაზე, მის არსზე, მის ტექნიკურ-ტაქტიკურ მხარეზე. ეს ბროშურაც უნდა ყოფილიყო მრავალენოვანი. მაგრამ ჩემი წინადადება იყო უკეთესი დარიჩა. ქართული ჭიდაობის ფედერაციამ ან ვერ შეძლო მისი შესრულება, ან ზედმეტად ჩათვალა.

სხვათა შორის, მე დავინტერესდით თუ რა მასალები გვეგზავნა შეჯიბრებაზე მოწვეულ კაცებს. მეტად საველად ფაქტი გამოირკვა. ოთხ გვერდზე როტორზე გამარჯვებული მშრალი ტექსტები: 1. მოწვევა; 2. დებულება; 3. ძირითადი წესები — სულ ეს იყო. ისეთმა ცივილიზებულმა ერმა, როგორც ჩვენ ვართ, სტუმარი ასე „მშრალად“ არ უნდა მოიწვიოს. საქართველო მხატვრულად გაფორმებული ფერადი ბუკლეტის გამოშვება საქართველოს ლამაზი ბუნების, ქართული ჭიდაობის ცალკეული ილუსტრაციის, კილორის მომენტების ჩვენებით. ყველა ტექსტი უნდა ყოფილიყო მათ ენაზე. ამას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს; ბუკლეტმა უნდა მოხიზლოს, დაინტერესოს სტუმარი. ავი უნდა იყო ჩვენი საფიზიკო ბარათი. ზოგი იტყვის, თბილისში ხომ ტარდება ძიულში, თავისუფლად და კლასიკურ ჭიდაობებში საერთაშორისო შეჯიბრებები, ასეთი მოსაწყვეტი ბარათები კი არ ეგზავნება არავისო. ერთმანეთში ნუ ავურევთ: ზემოთ ჩამოთვლილი სახეობები საერთაშორისო მასშტაბის სახეობებია, მას ყველა იცნობს, ქართული ჭიდაობა კი ახლა უნდა გავაცნოთ. და, თუ ახლავე ფარატინა ქალაქდება ვახლეთ მოსაწყვეთად, ასეთ საქციელს უკულტურობაში, უპატივცემლობაში ჩაგვითვლიან და ზურგს შეგვაქცევენ. პირველ შემთხვევაში ასეც მოხდება. მხოლოდ ორი ებრაელი და ოთხი უზბეკი მოკიდევ გვესტუმრა.

აი, ასეთი და სხვა საქმეების მოგვარებისთვის გვჭირდება, როგორც გამოცდილი, ქართული ჭიდაობის ფედერაციასთან პოლიტიკური კომიტეტის (სახელი უპირატესია) ჩამოყალიბება. მან ხვალე უნდა გაშალოს საორგანიზაციო საქმიანობა. პირველ რიგში კი, მერე ფაცი-ფუცი

რომ არ ატყდეს, უნდა მოიძებნოს სხვა სპონსორი, თანაც აქტიური. მან ქართული ჭიდაობის საერთაშორისო სარბილზე გატანისთვის არ უნდა დაიშუროს არც ენერჯია და არც სახსრები. სპონსორი მოიძებნება, ქართული ჭიდაობა რომანტიკული სახეობაა და მას საქართველოში ქომაგი არ მიაკლდება.

რაც შეეხება პირველ საერთაშორისო ტურნირს (მაინც ასე უნდა ვუწოდოთ), იგი დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. მართალია, მოწვეულმა სტუმრებმა გვილოატეს, მაგრამ გულს ნუ გავიტეხებ. უნდა ვიმედოვნოთ, რომ შემდეგი შეჯიბრებები უფრო ხალხმრავალი იქნება. თუმცა სტუმრები არ ჩამოვიდნენ, მაგრამ შეჯიბრებას ხალხი არ მოჰყვებოდა და სარბილს ფალანგთა წევრად, ფიცხელი ბრძოლა და გამარჯვებისაკენ ლტოლვა ახასიათებდა.

ქიდე ერთი, არანაკლები მნიშვნელობის საკითხი. „ლელო“ 9 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული წერილიდან რატომღაც ამოღებულ იქნა ერთი, ჩემი აზრით მნიშვნელოვანი წინადადება იმის შესახებ, რომ ქართული ჭიდაობის ყველა ილუსტრაციას შევზარჩუროთ ქართული ტერმინი, რომ მოგვერდს ყველა ენაზე მოგვერდი ვწოდოს, კისრულს — კისრული, შუაგულსა და გარეკურს შუაგული და გარეკური, ასევე შიგა და გარე სარმის და სხვა. სხვადასხვა ფერის მოჭიდავეები ძიულს ყველა ფანდს, სარბილსა და იქ მომავებულ ქულასაც იაპონურად უწოდებენ, ისევე როგორც, მაგალითად, ფარეკობაში მიღებული ფრანგული ტერმინების ხმარება. არც კურებს, სარმებსა და მოგვერდს არაფერი დაუშვავიათ. ყველამ, ვისაც ეს ეხება, უწოდონ მათ ქართულად, ნუ თარგმნიან და ნურც ხელოვნურად შეკოწიწებულ სახელებს დაარქმევენ. ჩვენი ინსტიტუტის ჭიდაობის კათედრამ დღეისათვის მოახერხა ორი ქართული ილუსტრაციის დამკვიდრება. ესენია „კისრული“ და „გადავლება“, რაც უთუოდ მათი დამსახურებაა.

იმედი მაქვს, ქართული ჭიდაობის ფედერაცია სერიოზულად მიუღდება ამ საქმეს და მომავალ საერთაშორისო შეჯიბრება გახდება ახალი სტიმული ქართული ჭიდაობის საერთაშორისო სარბილზე წარმატებების.

ვასილ ელაშვილი, პრიფესორი.

სოფელი ღონიერი...

მტკიცე ხასიათი

ნახარაული დიდი და ღონიერი სოფელია, სადაც მრავალი ახალგაზრდა ცხოვრობს, აქაურ მშრომლებს უყვართ სპორტი და ძალღონის არ იშურებენ მის გასართავებლად. სოფლის შუაგულში იყო საკმაოდ ფართო მოედანი, წლებში მანძილზე თავაკცეს უნდოდათ ეს ადგილი სამოსახლოდ გაცეთ, მაგრამ ყოველთვის ამ ფაქტს წინ ედობებოდა ამ სოფლის მკვიდრი მერაბ ხიდაშელი, რომელსაც ჩამოქრებული ჰქონდა ამ ტერიტორიაზე სპორტული კომპლექსის აშენება, მაგრამ იმ ხანებში ამის საშუალება მას არ მისცეს. ასე გაძელებოდა წლები მანძილზე, რამდენიმეჯერ მოუხდა ამ ახალგაზრდა სპეციალისტს გამოეჩინა მტკიცე ხასიათი და ბოლოს მისმა სიმტკიცემ სასურველი შედეგი გამოიღო. ჯერ ადგილი გასუფთავეს, ფეხბურთის კარები ჩადგეს, მინდორი დახაზეს და საგარეშოდ გაამზადეს, შემდეგ ამხანაგური თამაშები ჩატარეს, რაიონის პირველმძღვანელობის და 28 წლის მიხეილ ხიდაშელი დამსახურებულად დააწინაურეს აგროფორმა ნაფარეულის ქარხანა-მეურნეობის გენერალური დირექტორად. მან თავისი

მუშაობის ერთ-ერთ ამოცანად დაიხასო სპორტული მოედანი გადაეჭრა სპორტულ ბაზად. გამოყო სათანადო თანხა, დარბაზი მუშა-მოსამსახურეები შაბათობების ჩასატარებლად და მოკლე დროში მცირედი დანახარებით იგივე მშენიერი სპორტული ბაზა. აქ არის მწვანე ბალახიანი, კარგი სათამაშო მინდორი, გასანდებელი ფეხბურთელებისა და მსაჯებისათვის, საშხაპეები, ტრიბუნები რამდენიმე ათას მაყურებელზე, ლოჯა, საგარეშო მოედანი და სხვა დამხმარე სათავსოები. დაიწყეს სასურველი აუზის და ელექტროტროსის მშენებლობა. წელს ნაფარეულის გუნდი მოაწინააღმდეგა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის ზონალურ სათამაშებში, სადაც მოიპოვა უფლება 1990 წლიდან ითამაშოს რესპუბლიკის პირველობის II ჯგუფში. გუნდის ამ მიღწევასაც მწვერთვულთან (ნ. ჯორჯაძე და ქ. რუსტომია) ერთად დიდმა მეურნეობის დირექტორის ა. ხიდაშელის დამსახურება.

ახალგაზრდა სპეციალისტის ამ კეთილშობილურ საქმეს სხვა რაიონებისა და სოფლის თავაკცემამც რომ მიბაძონ, გაეუფლებოთ ისეთი საშვილოწველო საქმე, რომელიც სა-მუდამოდ დარჩება მაღლიერი თანამოქალაქების სხვათაში.

ვინ იქნება შემდეგი?

ოტია შორაღანია, ხაკავეშიო კატეგორიის სპა-ტორი მხაჩი ფეხბურთში.

საპრიზო აღმიღებზე — ჭაბუკები

თბილისის ქარაჯის სასახლეში დამთავრდა „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პირველობა. გულშემატკივართა და მსახურთა კოლეგის გასაოცრად, როგორც ვთქვამ, ისე ვაბუკეთა შორის, გაიმარჯვეს ნორჩმა მოჭარაკებმა — რუსთაველა ოსტატობის კანდიდატმა ზურაბ იფრაიშვილმა (8 ქულა, I ადგილი), პირველთაწარგონებმა — 12 წლის ოჩხიჩიკოვმა ლევან ლევანამ (7 ქულა, II ადგილი) და

რუსთაველმა აკაკი გელაზონიამ (7 ქულა, III ადგილი). გოგონათა შორის ადგილები ასე განაწილდა: I ადგილი — მირანდა ხორაჯი, II — ნინო მელიძე, III — მილენა ესაბეიანი (ყველა — თბილისი).

ბიორბი შაშილიანი, შეჯიბრების მთავარი მხაჩი, ხაკაველს ხსრ დამსახურებულნი მწვრთნელი.

შეპირდობას არ ფიქრობენ



1989 წლის 27-28 დეკემბერს ქუთაისის ცენტრალური სტადიონის ბალახის მოყვანის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს ვაჟთა ეროვნულმა ნაკრებმა პირველი საერთაშორისო შეხვედრები გამართა დელის ნაკრებ გუნდთან.

30 წარუდგინა, რომ ინდოელი პოეტისტი ამ სახეობის საყოველთაოდ აღიარებული ლიდერები არიან, ასე რომ, მათთან შეხვედრებში საინტერესო და ერთობ სასარგებლო იყო ქართველი სპორტსმენებისთვის. თავიდანვე ვიტყვი, რომ ჩვენი პოეტისტი შეგირდების როლი არ დაკმაყოფილებულან და, ყველაფერს მოულოდნელად, საქმად მძაფრი წინააღმდეგობა გაუწყეს გამომწვევს და ტიტულოვან მტრებს. ამას ისიც ადასტურებს, რომ პირველ შეხვედრაში თავდაპირველად მასპინძლები დაწინაურდნენ — მე-7 წუთზე ანგარიში გახსნა მერაბ ჭიკაძემ. სტუმრებმა თამაშის ცენტრიდან განახლებისთვის, სამი წუთის შემდეგ ალაღვი წინასწარობა — საბასუხო ბურთი გაიტანა გურდია სინგბამა. პირველი ტიპის მიწურულს ამირან მელიაძემ კვლავ დააწინაურა საქართველოს ნაკრები, მაგრამ მეორე ტიპის დასაწყისში რაჭუმარ იაღლი და თამაშს ჩოკა ორი ბურთი გაიტანეს მასპინძელთა გარეშე. მალე მამუკა ფულარიანმა ანგარიში გათანაბრა (3:3), მაგრამ ინდოელებმა კემპს უმატეს და მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა სუმოტ კანდეკერმა ორჯერ ისახელა თავი. ჩვენმა მხოლოდ ერთი ბურთის გატანა შეძლო და, საბოლოოდ, დამარცხდნენ — 4:5. საქართველოს ნაკრებმა მეორე შეხვედრაში ერთი ბურთის სხვაობით დამარცხდა — აკაკი მანალოძის გოლს კანდეკერმა და ჩოკა ორით უმატეს — 1:2.

ინდოელთა გუნდის მენეჯერმა, ორგანიზაციის მენეჯერმა ჩემპიონმა გური შანკარამ აღნიშნა, რომ სტუმრებისთვის მოულოდნელი იყო ქართველ პოეტისტთა თამაშის მაღალი კლასი. მასპინძელთაგან გამოიყო მამუკა რაჭუმარ, ავთანდილ კობრიძე, მამუკა ფულარიანი, ზაზა ჩარკვიანი და სხვები. გური შანკარამ მადლობა გადაიხადა გულბილი მასპინძლობისთვის, განსაკუთრებული პატივისცემით მოიხსენია ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეები და ბავშვთა სიმღერის და ცეკვის ანსამბლის წევრები, რომლებმაც შეხვედრები მოუწყვეს ინდოელ სტუმრებს. დელის გუნდის მწვრთნელმა, მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა ვასილევან ბასკარანმა საქართველოს ნაკრები და რესპუბლიკის ბალახის მოყვანის ფედერაციის თავმჯდომარე რევაზ რობაქიძე თებერვალში საბასუხო ვიზიტით მიიპატიჟა ინდოეთში.

იმპიადის ჩემპიონმა სუმოტ კანდეკერმა ორჯერ ისახელა თავი. ჩვენმა მხოლოდ ერთი ბურთის გატანა შეძლო და, საბოლოოდ, დამარცხდნენ — 4:5. საქართველოს ნაკრებმა მეორე შეხვედრაში ერთი ბურთის სხვაობით დამარცხდა — აკაკი მანალოძის გოლს კანდეკერმა და ჩოკა ორით უმატეს — 1:2.

ინდოელთა გუნდის მენეჯერმა, ორგანიზაციის მენეჯერმა ჩემპიონმა გური შანკარამ აღნიშნა, რომ სტუმრებისთვის მოულოდნელი იყო ქართველ პოეტისტთა თამაშის მაღალი კლასი. მასპინძელთაგან გამოიყო მამუკა რაჭუმარ, ავთანდილ კობრიძე, მამუკა ფულარიანი, ზაზა ჩარკვიანი და სხვები. გური შანკარამ მადლობა გადაიხადა გულბილი მასპინძლობისთვის, განსაკუთრებული პატივისცემით მოიხსენია ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეები და ბავშვთა სიმღერის და ცეკვის ანსამბლის წევრები, რომლებმაც შეხვედრები მოუწყვეს ინდოელ სტუმრებს. დელის გუნდის მწვრთნელმა, მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა ვასილევან ბასკარანმა საქართველოს ნაკრები და რესპუბლიკის ბალახის მოყვანის ფედერაციის თავმჯდომარე რევაზ რობაქიძე თებერვალში საბასუხო ვიზიტით მიიპატიჟა ინდოეთში.

თამარ პარანი,
საქართველოს ბალახის მოყვანის ნაკრები გუნდის მწვრთნელი.

რომანოვი ვიუწყებოდა, რესპუბლიკის ჩემპიონი კალათბურთში ვაჟთა შორის გახდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი, რომელმაც სუპერფინალურ მატჩებში ორჯერ აჯობა პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივს.

სურათზე: საქართველოს 1989 წლის ჩემპიონი კალათბურთში ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი. დგანან (მარცხნიდან) არმენ ომანეიანი, ერიკ მოველიძე, ვიკად ინაური, მოთამაშე მწვრთნელი ზენჯა დიპარტელიანი, მიხეილ კობეშვიძე, დავით დადიანი, მწვრთნელი თემურ აბულაძე, გიორგი მლოდინაშვილი, გიორგი ტუბაშვილი. პირველ რიგში — ხერგო აილიანი, ვეფხია მახსურაძე, შოთა უშილაური, გუნდის კაპიტანი ნიკო ჩერქეზიშვილი და ირაკლი ხომერიკი.

ჩემპიონები



შეხვედრის ახალი ანგარიში

მიდიან უცხოეთის კლუბები...

მას შემდეგ, რაც საბჭოთა ფეხბურთელები უცხოეთის პროფესიულ კლუბებში გადასვლის ნება დაართეს, ბევრი მათგანი, ცნობილი ოსტატი, საზღვარგარეთ გაემგზავრა. მათ კვალს მიყვებიან სხვებიც. ამ გარემოებამ არ შეიძლება ფეხბურთის მოყვარულთა შემოფოტება არ გამოიწვიოს. საქმე ისაა, რომ ფეხბურთელთა ეს მიგრაცია ღირსშესანიშნავია იმით, რომ ჩვენს, თუმცა ხანდახელ, მაგრამ მაინც საუკეთესო, ოსტატებს დიდი სურვილი აქვთ უცხოეთის პროფესიულ კლუბებში თამაშონ, აი, უცხოელი ფეხბურთელები კი ხაკლებ ინტერესს იჩენენ ჩვენს კლუბებშიც. ამ სულაც არა აქვთ სურვილი აქ ჩამოვიდნენ. ის რამდენიმე სრულიად უცხოელი ფეხბურთელიც კი, რომლებიც დღემდე მარცხენა და მარჯვენა ხელით თამაშობენ, სასწრაფოდ დაბრუნდნენ შინ... ახლა ცნობილი ვარდა, რომ ერთ-

ერთი უძლიერესი საბჭოთა კლუბის დენპროპეტროვსკის „დნეპრის“ ფეხბურთელები ვ. ლიუტი, ი. ჩერედეიკი და ე. შახოვი მომავალი სეზონიდან უცხოეთის კლუბებში ითამაშებენ. ცხადია, ასეთი ცალმხრივი მიგრაცია აღარაა შესაძლებელი. ვ. ლიუტის საფასურად დასაველეთ გერმანიის ერთ-ერთმა საუკეთესო კლუბმა „შალკე-04“-მა გადაიხადა 1.100.000 მარკა, ინგლისის „საუთემპტონმა“ 600 ათასი გირვანქა სტერლინგი გაიღო ჩერედეიკისთვის. დაახლოებით ასეთივე თანხა გადაიხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „კაიზერსლაუტერნი“ ე. შახოვის გადასახლებაზე.

ერთი უძლიერესი საბჭოთა კლუბის დენპროპეტროვსკის „დნეპრის“ ფეხბურთელები ვ. ლიუტი, ი. ჩერედეიკი და ე. შახოვი მომავალი სეზონიდან უცხოეთის კლუბებში ითამაშებენ. ცხადია, ასეთი ცალმხრივი მიგრაცია აღარაა შესაძლებელი. ვ. ლიუტის საფასურად დასაველეთ გერმანიის ერთ-ერთმა საუკეთესო კლუბმა „შალკე-04“-მა გადაიხადა 1.100.000 მარკა, ინგლისის „საუთემპტონმა“ 600 ათასი გირვანქა სტერლინგი გაიღო ჩერედეიკისთვის. დაახლოებით ასეთივე თანხა გადაიხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „კაიზერსლაუტერნი“ ე. შახოვის გადასახლებაზე.

ჩემპიონი კოეფიციენტზე გაერთიანდა

თბილისის ჰარდაკის სასახლეში დაიწყო 1989 წლის სპორტული სეზონის უკანასკნელი შეჯიბრება — დედაქალაქის ვაჟთა 61-ე ჩემპიონატი.

XVI ტური: კუჭუხიძე — ლახარაშვილი 0:1, ხაბურზანია — ბოკუჩავა 1:0, გოგოლაძე — შალამბერიძე 0:1, გოგინიაშვილი — პეტრიაშვილი 1:0, პოპოვი — ყაჭეიშვილი 1:0, სირბილაძე — დგებუაძე 1:0, ყაჭეიძე — მელაშვილი 0,5:0,5, ვაშაძე — ლობჯანიძე 0,5:0,5, პაქსაშვილი — გოგაძე 0,5:0,5.

XVII ტური: გოგაძე — კაკაბაძე 0:1, დგებუაძე — პაქსაშვილი 0:1, ყაჭეიშვილი — სირბილაძე 0:1, შალამბერიძე — გოგინიაშვილი 0:1, პეტრიაშვილი — პოპოვი 0:1, ლახარაშვილი — ხაბურზანია 1:0, მელაშვილი — კუჭუხიძე 1:0, ბოკუჩავა — ვაშაძე 0,5:0,5, ლობჯანიძე — გოგოლაძე 0,5:0,5.

ამრიგად, 14-14 ქულით I-III ადგილები გაინაწილეს ოსტატობის კანდიდატებმა რევაზ კაკაბაძემ, ვივა გოგინიაშვილმა და იანის პოპოვმა. უკეთესი კოეფიციენტი წყალობით დედაქალაქის 1989 წლის ჩემპიონის წოდება მიენიჭა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკის და ფოტოელექტრონიკის ფაკულტეტის სტუდენტს რევაზ კაკაბაძეს. II ადგილზეა ვივა გოგინიაშვილი, მესამეზე — იანის პოპოვი.

დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: IV. შოთა კუჭუხიძე — 10,5, V-VI. ალექსი ლახარაშვილი, ვია გოგოლაძე — 10-10, VII. დავით ლობჯანიძე — 9,5, VIII-IX. კახა შალამბერიძე, ქეთევან მელაშვილი — 9-9, X. ალექსანდრე ბოკუჩავა — 8, XI. ალექსანდრე დგებუაძე — 7,5, XII. შალვა ხაბურზანია — 7, XIII-IV. ვახტანგ ვაშაძე, დემურ სირბილაძე, ნოდარ გოგაძე — 6-6, V. დავით პაქსაშვილი — 5,5, XVII. გიორგი ყაჭეიშვილი — 4,5, XVIII. კახა პეტრიაშვილი — 2,5.

იმის გამო, რომ შოთა კუჭუხიძე შეჯიბრებაში კონკურსგარეშე მონაწილეობდა, საქართველოს პირველობის პირველ ლეგიონს თამაშის უფლება გვიგოგინიაშვილთან და იანის პოპოვთან ერთად მოიპოვა ალექსი ლახარაშვილმაც (უკეთესი კოეფიციენტი).

საზოგადოებრივი გაიხსნა

ბოლო ხანს თბილისში ახალი სპორტული სეზონი მძლეოსნობაში ჩერ კიდევ ძველი წლის მიწურულს იწყება, ამ დროს ჩვეულებრივ საქალაქო ასპარეზობა იმართება, ცხადია, დახურულ დარბაზში.

სწორედ თბილისის პირველობა და თასის გათამაშება ჩატარდა ამ შაბათ-კვირას საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპასახლეში. უნდა ითქვას, რომ სპორტსაზოგადოებრებმა შეჯიბრების მიმართ დიდი ენთუზიაზმი ვერ გამოიჩინეს და მონაწილეთა რიცხვი მცირე იყო. შედარებით ბევრი მძლეო-

სანი გამოიყვანა „შეგარდენმა“, რომელიც ორი გუნდით ასპარეზობდა.

ალენიშნავი ნინო ონაშვილი („შეგარდენი“), რომელმაც ბირთვის კვარში 15,50 მ აჩვენა, რაც ჰარბიზს სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივს შეგახსენებთ, ნინოს ძირითადი სახეობა ბალის ტყორცნა-გახლაკა.

იგივე წარმატებას მიაღწია ივანე ივანიშვილი („დინამო“) 110 მეტრზე თარჯინებში — 7,8, აიდა ტოროსიანი („შეგარდენი“) 200 მ რბენაში — 25,2, ვლადიმერ მინაკოვმა და ალექსანდრე ტრიხტალოვმა (ორივე — „შეგარდენი“) სიმბოლურე ნტომაში — მათ შესა-

ბამისად 210 და 205 სმ აჩვენეს. 100 მეტრზე თარჯინებში პირველობა ეკატერინე მჭედლოძე („შეგარდენი“) — 9,8, ხოლო სიგრძეზე ნტომაში ვაჟთა შორის უძლიერესი იყო დიმიტრი ანტონოვი („დინამო“) — 710 სმ.


გუნდური პირველობა ასე დამთავრდა: 1. „შეგარდენი“-I — 195 ქული; 2. „შეგარდენი“-II — 99; 3. „დინამო“ — 78; 4. „მარტვი“ — 22.

სურათზე: დიმიტრი ანტონოვი; 200 მეტრზე ვარდენის მონაწილენი.

სპორტაქალთა წარმატება

გარმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ბრემენში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი მიწვევებულთა, წარმატებით ითამაშეს მოსკოვის სპორტკლუბმა, რომელმაც ვერ გულფორ ტურნირში გაიმარჯვეს, შექმულ ნახევარფინალში დაამარცხეს ზამბიის ნაკრები (6:3), ფინალში კი მოუგეს ავგილობრიგ „ვერდერს“ — 10:2.

მატჩი მესამე ადგილისთვის ბერლინის „დინამოს“ და ზამბიის ნაკრებს შორის დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით — 7:4.



ახალი პარიზი — ა. დი სტეფანოს

ცნობილმა ფრანგულმა გამოცემამ „ფრანს ფუტბოლმა“ დააწესა ახალი ჭილდო — „სუპერ ოქროს ბურთი“. ჭილდო მიაკუთვნებს ყოველ, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ „ფრანს ფუტბოლისა“ და „ტელე-ფუტს“ მკითხველი, აგრეთვე, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის „ოქროს ბურთის“ მფლობელები.

„სუპერ ოქროს ბურთის“ პირველი მფლობელი გახდა წარსულის ცნობილი ფეხბურთელი ალფრედო დი სტეფანო (ესპანეთი), მეორე ადგილზეა პოლანდიელი იოჰან კრუიფი, მესამეზე — მიშელ პლატინი (საფრანგეთი).

პერსის საკლასიკო მოედნზე

იტალია

კვანდის ჩემპიონატი 12 ტურის შემდეგ ორბელთაშორის გახდა. ვარესის კლუბმა „რეინგერსმა“ და პუსკარას „სკავოლინი“ 20-20 ქულით მოაგროვეს. 16-16 ქულია აქვთ ვინტაშად სამ გუნდს: „რეინგერს“, „ვისმარს“ და „ტოროსს“. მათ კვალში მისდევენ: „ფილიპისი“, „პონოლი“ და „ვიოლა“ (14-14 ქული).

ტურის ცენტრალური მატჩი შედგა ვარესის ლიდერებს „რეინგერსსა“ და „სკავოლინის“ შორის. ამ მატჩის წინ „სკავოლინი“ ერთპირვნული ლიდერი გახლდა და გამარჯვების შემთხვევაში კიდევ უფრო განიმტკიცებდა პოზიციებს. ვარესის გუნდის ამოცანა იყო დასწვდოა ლიდერს „სკავოლინის“ ვერ უშველა ამერიკელი ვარსკლავების დეისა (33 ქული) და კოკის (24) ჩინებულმა თამაშმა და დამარცხდა — 98:106, რასაც ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტი“ იმით ხსნის, რომ ამერიკელ ვარსკლავებს სათანადოდ

ვერ აუბა მხარი ვალტერ მანფიკო (6 ქული). ვარესის გუნდში საუკეთესოები იყვნენ ამერიკელები ტომასონი (29 ქული) და მათეუსი (24). სხვათა შორის, ეს უკანასკნელი დიდი ხნის განმავლობაში თამაშობდა ნბ-ს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდში „ლოს-ანჯელეს ლეიკერსში“. მილანის „ფილიპისი“ გამარჯვება აუტსაიდურ „ირეგესთან“, ცხადია, არავის გაკვირვებია — 119:94. გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო ანტონელო რივა (39 ქული). კარტისი „პონოლი“ ბრაზილიელი ოსკარ შპიტის (38 ქული) შედეგიანი თამაშის წყალობით დაამარცხა „რეინგერსი“ — 110:103. სტუმრად დამარჯვებულმა „სკავოლინი“ მისიოვა დედაქალაქის გუნდმა „მესაჯერომ“ „რომერტსთან“ შეხვედრაში — 114:87. მოულოდნელობად შეიძლება მივიჩინოთ ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერის ლიგორის „ჟინიმონტის“ დამარცხება ნეაპოლში ადგილობრივ „პანინოსთან“ — 76:82, რომე-

ლსაც, სხვათა შორის, ცნობილი იუგოსლავიელი სპეციალისტი მიკო ნოვოსელი წვრთნის. გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანი იყვნენ რავაცინი (24 ქული) და ბერი (22); დამარცხებულთაგან — ამერიკელი ალექსი (22). თასების მფლობელთა თასზე კუნასის „ჟალგირისის“ მეტოქე მბოლონის „გორომ“ წაიფრთხილა საკუთარ მოედანზე „ვისმართან“ შეხვედრაში — 91:93.

წინა ტურის მატჩებიდან ყურადღებას იპყრობს შეხვედრა კაზერტაში „პონოლასა“ და მილანის „ფილიპისს“ შორის. როგორც იქაური პრესა აღნიშნავს, ამ მატჩის ნამდვილი გმირი იყო ბრაზილიელი ოსკარ შპიტ. მისმა ჩინებულმა თამაშმა მნიშვნელოვანი განაპირობა „პონოლას“ გამარჯვება — 118:101. შპიტის ანგარიშზეა 54 ქული. მილანელთა შორის ყველაზე შედეგიანები იყვნენ რივა (28) და მაკალე (20).

საბარქანთი

ექვსი ტურის შემდეგ „არისს“, „პანინოსს“ და „ირაკლისს“ 10-10 ქულია აქვთ.

ნიკოს ვალისის გუნდის სალონიკის „არისსი“ „პანათინაიკოსთან“ ითენში დამარცხება ყველამ შეეჭქეს ტურის მთავარ სენსაციად მიიჩნია. „არისს“ ვერ უშველა ლიდერის „ვალისის“ (39 ქული) ბრწყინვალე სწრაფობა სროლებმა და თხუთმეტი ქულის სხვაობით დაამარცხა — 62:77. დედაქალაქის გუნდში შედეგიანობით თავი გამოიჩინეს ამერიკელმა ჯონსმა (35 ქული) და ანდრისტოსმა (17). რ. კორაჩის თასზე ალმა-ათის სკა-ს მეტოქე „ირაკლისმა“ დამარჯვებით გამარჯვება მოძოვა ათენის აეკთან შეხვედრაში — 102:74. „ირაკლისის“ გამარჯვებას დიდად შეუწყობ ხელი იუგოსლავიელი ბენაიკის (33 ქული, 11-ჯერ დაეუფლა ფარიდან ასსლეტოლ ბურთს) კარგმა თამაშმა. პაოკმა დიდი ანგარიშით დაამარცხა „სპორტინგი“ — 113:62.

მერაბ კალანდია.



„ჭაღრაკი — სპორტის პრეზიდი“ ყველაზე უფრო მასობრივ სხეობაა“

ბარი კასპაროვის ინტერვიუ შურნალ „პლიზმის“

შურნალმა „პლიზმი“ (აშშ) გამოაქვეყნა ინტერვიუ მსოფლიო ჩემპიონ კადრაკში ვარი კასპაროვთან. ვიზუალური ფორმით დიდ ინტერესს დიდობის აზრებისა და იდეებისადმი და ვაქცეუნი ინტერვიუს მცირე რაოდენობით, პუბლიკაციას გამოთქმულ ყველა დეტალს ვერ დავეთანხმებით. რედაქცია მკითხველებს სთხოვს თვით შეფასოს იგი. „საბარბატი გლოზის“ (მოსკოვი).

შაღრაკი ყველთვის იყო და არის ყველაზე უფრო სამეფო, საიმპერატორო, უცვლელობის თამაში. მას ვერ შეცვლის ვერც ბრძოლი, ვერც კარტი (ქალაქის თამაში), ვერც სხვა ნებისმიერი თამაში. უნარი, რომელიც სჭირდება ჰარდის თამაშს, ხელოვნების, მეცნიერების თუ საბრძოლო მოქმედების სტრატეგიის სფეროში, ყველთვის აღაზრდება დიდი გონების ადამიანებს იმ დროიდან მოყოლებული, როცა ჰარდის გამოგონეს ინტერვიუ (ზოგიერთის აზრით — სპარსეთში) მეექვსე თუ მეშვიდე საუკუნეში. ნაპოლეონი, კასტრო, ლენინი და სხვა ცნობილი ისტორიული პიროვნებები ჰარდის თამაშს იყენებდნენ. ბევრი მათგანი უდავოდ, ჰარდის თამაშს ადამიანის გეოპოლიტიკისთვის.

ჯილოვებული. რამდენიმე წლის მანძილზე ისე ჩანდა, რომ იგი უძლეველი იყო. შემდეგ გამოჩნდა კასპაროვი, რომელიც თავის მეტოქეებს ყველა საკვალივითი მატჩში სასტიკად ამარცხებდა, სანამ 1984 წელს კარპოვთან დავას არ მიუჯდა. ეს ყინულისა და ცეცხლის შეჯახება იყო. კარპოვმა, რომელსაც გაცილებით უფრო მეტი გამოცდილება ჰქონდა, კასპაროვის ანარტული შეტევები მოეგონა. თავიდანვე დიდი უპირატესობით ხელს იგდო ლიდერობა, მაგრამ ბაქოვმა კაბუკმა შეძლო რთული სიტუაციიდან თავის დაღწევა. ეს მატჩი მსოფლიო პირველობების ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი და ყველაზე მოქმედი აღმოჩნდა, იგი 5 თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა. პანიკით შეპყრობილი საბჭოთა ჰარდის ხელმძღვანელებმა გაველნა მოახდინეს საერთაშორისო საჰარდო ფედერაციის პრეზიდენტზე და დარწმუნეს იგი შეეწყვიტა მატჩი. გააფთრებულმა კასპაროვმა დაიფიცა, აუცილებლად აეღო რევანში. მან სიტყვა შეასრულა მომდევნო შემოდგომაზე, როდესაც დაამარცხა კარპოვი და 22 წლის ასაკში ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონი გახდა ჰარდის ისტორიაში. ამის შემდეგ საბჭოთა ხელისუფალნი ბუბდნენ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ ახალი ეროვნული გმირი წინააღმდეგ. ერთი მხრივ, იგი შესანიშნავი პროპაგანდისტული მასალა საბჭოთა საჰარდო მინჭანის უპირატესობისა, მეორეს მხრივ — აშკარად გასაღიანი მარქსისტულ-ლენინური სისტემის წინააღმდეგ. ამავე დროს, იგი სისტემატურად ანერვიულებს საბჭოთა აპარატს, რომელიც სპორტს განაგებს, ეს აპარატი თავის „მოყვარულ სპორტსმენებს“ ყოველთვის უყურებდა როგორც მორჩილ მუშა ძალას და მის მიერ მოპოვებული პრემიების 99 პროცენტს ითვსებდა. კასპაროვმა კი განაცხადა, რომ თავის კუთვნილ ფულს თვითონვე დიდებდა. მერე სხვა ცნობილი საბჭოთა სპორტსმენებმა — პოკისტებმა, კალათბურთელებმა, ჩოგბურთის ვარსკვლავებმა მიბაძეს მას.

ტონის ნაგებობის მსგავსი სართული უყავიათ, სადაც ექვსი საწოლი ითავსებდა. ერთ ოთახში კასპაროვის კომპიუტერები და დეტალური (კომპიუტერები ითვალისწინებენ ყველა პარტიას, რომელიც კასპაროვის მოწინააღმდეგეებმა უკანასკნელად ითამაშეს). საცხოვრებელი ოთახები სავსეა სხვადასხვა დასავლური ტექნიკით, რომელიც მან ამას წინათ საზღვარგარეთიდან ჩამოიტანა: ტელევიზორი, ვიდეომანეროფონი, მაგნიტოლა, ვადასატანი ტელეფონი, ელექტრონული ქურა, ყავის მოსახარში და სხვა ელექტროსაქონელი. აივანზე კი, სავარაოდის პირდაპირ, სამეფო ტახტის მსგავსი მაგიდაა საჰარდო დაფითა და ფიგურებით.

ოთხი დღის მანძილზე, კასპაროვთან რომ გაატარებ, ამ ფიგურებს მხოლოდ მისი დიდები და მეგობრები თუ ეკარებოდნენ. ერთხელ ისინი ხელში კადასარს ეჭირა, მაგრამ მე ერთხელაც არ შემიძინა, რომ ვარი საჰარდო მაგიდასთან დაჯდარიყო და თუნდაც ერთი პაიკი გადაეადგილებინა. თუმცა, ეს ხომ სრულიად ლოგიკურია, ბოლოს და ბოლოს, ვის შეეძლო მასთან შეჯიბრება? ეს ხომ დიდობისა და დამწევის მოკლარაკის შეხვედრას აღემატება.

სპორტის იმ სახეობის ჩემპიონსთვის, რომელსაც ამდენი პირის-ცენტრული და ახირებული პირია გაცემული, გარის მეტისმეტად ჯანმრთელი და გაწონასწორებული ადამიანის იერი აქვს. ჩქარა ლაპარაკობს (მწვენიერად ფლავს ინგლისურს), სავსეა ენერჯითა და იდეებით, საშუალო წონის მოქმედების ტანი აქვს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქმის ყოველ წელს მზადაა აფეთქდეს. იმის გამო, რომ არ ეწევა, არ სვამს და არც რაიმე წამალს უტანს (რისთვის, რა საჭიროა? — ამბობს თვით ვარი), ვარ ენერჯის ხარჯებს ფიზიკურ დარღვევაში, ზნორად ცურავს ზღვაში, უყვარს ბაქოში ფეხით გასივრება, მატჩის დროს, რა თქმა უნდა, უფრო კონცენტრირებული ფორმით ხარჯავს ენერჯიას. შეხედეთ კასპაროვს, როცა სცენაზე გამოდის, მაგიდას მიუჯდება და დაფას მიაქცევს. თქვენ თითქმის ხედავთ იმ ბოლოს, ნესტოებიდან რომ გამოიფეთება, ალის პატარა ენებს, მის ტურნთან რომ მოძრაობს, ლაზერის შემდეგ მიხვდით, რატომ ხდება გამოკითხვის. „კაცობა“ — ასე შეარქვეს მას მოკლარაკებმა. ჩემპიონთან რამდენიმე საათის საუბრის შემდეგ მიხვდით, რატომ ხდება ასე. სინამდვილეში ძალზე უკეთესად განწყობილი და ჰქვიანი ახალგაზრდა კაცია, მაგრამ, თავისი პრინციპებიდან გამომდინარე, „ტყვეებს კი არ ტოვებს, სპობს“.

ლიდური“ არ უთქვამს. მან თქვა, რომ საბჭოთა ადამიანების შემოფთობა ნატალის ფოტოსურათის გამო, მთლად დასაბუთებული არ იყო და „პლიზმი“ ძალიან კარგი ქურნალია, რომელიც სერიოზულ წერილებს აქვეყნებს.

● „პლიზმის“ რუსული ვარიანტი რომ არსებობდეს, მას სია-მოვლები იყიდდნენ?

— რამდენი მილიონა ცალს გაქიდვა გსურდებოდა? არ დაიწყებოდა, რომ ბევრ ეგზემპლარს დასაწვავად იყიდდნენ, რადგან საბჭოთა ადამიანებისთვის უცხო ასეთი ცხოვრება, ამიტომაც ბევრი მათგანი გაოგნებული იყო, როცა ვიხსენებდი ქურნალში ნატალის ფოტოსურათის მითავსების ამბავი. მაგრამ ისინი ხომ ასევე გაოგნებულნი რჩებოდნენ, როცა ტელევიზიით დასავლურ სურამარკეტზე გადაცემა. თქვენც ხომ შოკის მდგომარეობაში ხართ, როდესაც სრულიად უჩვეულო რაზმს უყურებთ?

● ბევრი რამ, რომელთა შესახებ საბჭოთა ადამიანებმა არაფერი იცოდნენ, ახლა ცნობილი ხდება. დღეს საბჭოთა კავშირში, სადაც არ უნდა წახვიდით, ყველაფერს საჭიროებს აწელებით. აღარავის ეშინია პირდაპირი ლაპარაკის, მიუხედავად იმისა თვითკრიტიკის ფართო კომპანიას ჩართული. ახლა ძალიან ხაინტერესია საბჭოთა მოქალაქეობა.

— დარწმუნებული არა ვარ. ეს დრო სინტერესია, მაგრამ ამასთან საშუალო საბჭოთა მოქალაქისთვის მერად მძიმეა არის. თვითკრიტიკა, შესაძლოა, მეტად გავრცელდა, მაგრამ მოსახლეობის პროდუქტებით მომარაგება შენდება. ჩვენ ყველანი ძალზე ბედნიერი ვიყავით, როდესაც გამოჩნდა გორბაჩოვი თავისი ახალი პრინციპით, როდესაც სხვადასხვა იდეებს აშკარად გამოთქვამდნენ, რასაც ახლა საჭიროება უკავია. მაგრამ ვარაუდობა, ეკონომიკური რეფორმა — ჯერ კიდევ არასწორ გზაზეა, ყველაფერი ძალზე მდორედ მიმდინარეობს. ვშიშვებ მეტის მოთმენა აღარ შეევიძლია. ქვეყანა გასაჭირშია, ეკონომიკა დაზარადა პირადაა. ეს ტრაგიკული სიტუაციაა. 99 პროცენტით იგი კატასტროფულიც კია. ჩვენ სასწრაფოდ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილებები. საჭიროა ეკონომიკური რეფორმის დაშვება, ბაზის განხილვა ეკონომიკური საქმიანობისთვის, ხოლო ადამიანებს პოლიტიკური თავისუფლება უნდა მიენიჭოთ. ჩემთვის ძნელია იმავალ ლაპარაკს, რატომ მოქმედებს გორბაჩოვი ასე ნელა — ეს ან ყველაფერია, რაც მას შეუძლია გააკეთოს, ან მას სინამდვილეში არ სურს ყველაფრის შეცვლა. დაიხსომეთ, რომ იგი მაინც კომუნისტია. მე ახლა მეშინია, რომ ცვლილებები, რომლებიც აქამდე ვარაუდობდით ჩარჩოებში განხორციელდა, მხოლოდ კონსერვატიული ხასიათის ატარებს. ჩვენ კი რეალური რეფორმები გვჭირდება, თუკი ქვეყნის ხსნა გვსურს.

● ისინი, ვინც გიცნობენ, როგორც მსოფლიოს საბჭოთა ჩემპიონს კადრაკში, გაცემული რჩებან საბჭოთა პოლიტიკის შესახებ თქვენი პირუთვნელი აზრებით, ამ აზრებს შემდეგში დავეხებოდეთ, ახლა კი ისევ კადრაკზე ვისაუბროთ. ბევრი თვლის, რომ ჰარდის მხოლოდ დროის ხასიათიდან გამომდინარე, ამერიკის კოლეგებში მიაჩნიათ, რომ ჰარდის ზარბაზნები თამაშობენ, რომელთაც არ სურთ ნამდვილ სპორტს მოქმედონ ხელი.

— რას ამბობთ! ნება მომეცით ჩემი საიდუმლო გაგანდოთ. ჰარდის სპორტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მკაცრი სახეობაა. საკმაოდ კარგად ვთამაშობ ფეხბურთს, კარგი მსოფლიო ვარ, ამას წინათ ჩოგბურთსაც მიყვარდა ხელი, მაგრამ შემძლია გითხრათ, რომ არ ამარტობს სპორტის იმაზე უფრო ძნელი, მე ვიტყვით, უფრო უხეშო სახეობა, როგორც ჰარდია. ჰარდის ერთადერთი მიზანია თქვენი უპირატესობის დამტკიცება სხვა ადამიანზე, ხოლო ყველაზე მნიშვნელოვან უპირატესობად, მე ვიტყვი, საყველთაოდ, გონებრივი უპირატესობა ითვლება. აქ არც იტვლია, არც ქალაქის თამაში, როცა სპორტის მომენტში გიმართლებს, არც კამბოის მსვლად, რომელიც გასაჭირიდან გამოგყავს ხოლმე. ყველაფერი შენს გონებაზე დამოკიდებულია. ან თქვენ იტყვით თავს, ან ის გატყუებთ: ყველაფერი მარტვადია, ან ყველაფერი რთულია.

● იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ დიდი ვნებათაღელვა იყო, კინოანონარაჟის პოპულარული საბჭოთა ტელეგადაცემის წამყვანმა ხელში აიღო „პლიზმის“ მახის ნომერი და თქვა: ეს ძალიან ხოლოდური უურნალია. სწორია, არა? — არა, უფრო ზუსტად, მას „სო-



პლიზმი (ავსტრალია). გაიხართა აქაური ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის პირველი წრის შეხვედრები. კოლინგრადელმა ალექსანდრ ვოლკოვმა დაამარცხა ადგილობრივი ჩოგბურთელი ტოდ ვუდბრიჯი 6:4, 1:6, 6:4. უფელი ანდრე ჩენსოკოვი კი სტრტზევე გამოეთიშა გათამაშებას შევიცარიელ მარკ როსტთან განცდილი მარცხის შემდეგ — 2:6, 4:6.

ნიუ-იორკი. გრძელდება 14 და 18 წლის ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. თვრამეტწლიანთა შეჯიბრებაში ნატალია ბელეცკიანა აჯობა პოლანდიელ ჰელენ ვან დენ ბერგს (6:1, 6:0), მეორე პოლანდიელმა სპორტსმენმა კრისტე ბუბერტმა კი — ელენა მავაროვას 6:4, 1:6, 6:2. ამ ასაკის ჰაბუკეში ბრძოლას განაგრძობს ანდრე რიბალო, რომელმაც მორიგ ტურში შევიცარიელი ანდრე მატზინგერი დაამარცხა — 6:1, 6:3.

პარიზი (ავსტრალია). აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირი „პოლმანის თასზე“ ესპანელმა ჩოგბურთელმა მოიგეს. 1 იანვარს ფინალში მათ აშშ-ის ნაკრებს აჯობეს. პირველი ქულა ესპანეთის გუნდს მოუტანა ემილიო სანჩესმა, რომელმაც უნდა მაკინრთუს აჯობა 5:7, 7:5, 7:5. მეორე მაკინრთუმ და პამ შრაივერმა დაამარცხეს ემილიო და არანტა სანჩესები (6:3, 6:2) და ანგარიში გათანაბრდა. გადამწყვეტი ქულა აიღო არანტა სანჩესმა შრაივერმა გამარჯვების შემდეგ — 6:3, 6:3. შეგახსენებთ, რომ ნახევარფინალში ესპანელმა დაამარცხეს ჩენსოკოვიკი, ამერიკელმა კი — ავსტრალიელი.

სან სილვესტრის ტრადიციული მარათონი

სან-პაულუ. ბრაზილიის ამ ქალაქში ჩატარდა ტრადიციული სახალწლო მარათონი — „სან სილვესტრის“. სტარტი ამ პოპულარულ შეჯიბრებამ აიღო 31 დეკემბერს ღამით, ფინიში ხაზი კი მოასპარეზებმა ახალ წელს გადაჰქვეთეს.

პირველი ადგილი და მთავარი პრიზი ვაჭთა შორის დაისაკუთრა ცნობილი ეკვადორელი სტაიერმა როლანდო ვერამ — 36.45.0. ქალთა შეჯიბრებაში გამარჯვებას უკვლა ერთხმად პორტუგალიელ აურორა კუნისა. უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ აჩქარდა იგი მხოლოდ მეორე იყო. პირველობა კი მექსიკელმა მარია დელ ვარლემ დაიპყრო — 43.52.0.

„სპორტლოტო“

81 დეკემბერს მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ 1989 წლის ბოლო, 53-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო # 45“-დან: 5 (თავისუფალი ქიდაობა), 6 (ძიული), 7 (კლასიკური ქიდაობა), 25 (საცივალ სპორტი), 35 (შიბიანი პოკეი), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

„სპორტლოტო # 88“-დან: 6 (ძიული), 7 (კლასიკური ქიდაობა), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 20 (აფროსნობა), 25 (საცივალ სპორტი).

„სპორტპროგნოზის“ მოყვარულთა საყურადღებო!

შაბარია „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის 1-7-ე ტირაჟებში გათამაშდება 10 საგზური იტალიის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატზე იმ ბოლოების მფლობელთა შორის, რომლებიც გამოიწიბენ 13 შედეგს.

რედაქტორი
თ. შაჩივილიაძე.